საერთაშორისო ურთიერთობები

2. მისანიჭებელი ხარისხი: სოციალური მეცნიერების ბაკალავრი - საერთაშორისო ურთიერთობები;

3. პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი

მოდულების ხელმძღვანელები:
საერთაშორისო პოლიტეკონომიის – ნინო ჟვანია
ევროპათმცოდნეობის – სერგი კაპანაძე
საერთაშორისო პოლიტიკის და უსაფრთხოების – თორნიკე თურმანიძე
შედარებითი საგარეო პოლიტიკის და რეგიონალისტიკის – ზურაბ დავითაშვილი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახსიათება

პროგრამის მიზნები: საერთაშორისო ურთიერთობებში განახლებული საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:

- შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ
- შეიძინოს სპეციალიზებული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევების სფეროებში
- შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული უახლესი მიმდინარეობები
- დაეუფლოს საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს

სწავლის შედეგი:
პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი უნდა ფლობდეს სიღრმისეულ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებსა და კვლევის მეთოდებში, საბაზისო კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, უნდა ჰქონდეს პრობლემის დასმის, მისი კოპლექსურად შესწავლის და გადაჭრის, საჭირო რესურსების მოძიების, ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის, საკითხისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი. ბაკალავრს ასევე უნდა შეეძლოს ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც რიგითი მკვლევარი, და ხარისხიანად აწარმოოს კვლევის თავისი ნაწილი არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით; სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, შეიმუშავოს და განახორციელოს საკუთარი კვლევითი პროექტი.

5. კურსდამთავრებულების დასაქმების სფერო:
საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ დამხამრე თანამდებობეზე იმუშავონ საჯარო სამსახურში. კერძოდ, ისეთ დაწესებულებებში, რომელთაც შეხება აქვთ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასთან და გატარებასთან. კურსდამთავრებულებს ასევე შეეძლებათ დასაქმდნენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და მას-მედიის საშუალებებში.

6. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:
საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატის დონეზე შედგება.

- საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსებისაგან. ეს საგნებია *შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში* (5 კრედიტი) და *საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია* (10 კრედიტი), რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსების შესავალი კურსების ჩამონათვალშია მოცემული;
- ძირითადი სავალდებულო კურსებისაგან, რომელიც 40 კრედიტის დაგროვებას გულისხმობს შემდეგ 7 საგანში: *შესავალი ეკონომიკაში, შესავალი ევროპათმცოდნეობაში, საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები, ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია, კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია* და *საბაკალავრო სემინარი.*
- 4 სპეციალიზებული მოდულისაგან: I საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია II. ევროპათმცოდნეობა III. საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოება IV. შედარებითი საგარეო პოლიტიკა და რეგიონალისტიკა. თითოული მოდული წარმოადგენს არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაჯგუფებულს სუბდისციპლინების მიხედვით. სპეციალიზებული სასწავლო მოდულები არჩევითია, მაგრამ სტუდენტი ვალდებულია, თითოული მოდულის შიგნით მიიღოს სულ მცირე 5 კრედიტი. სწორედ ამ მოდულების ფარგლებში შემოთავაზებულ არჩევით კურსების საფუძველზე აგროვებს სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს.
- საბაკალავრო ნაშრომისაგან (10 კრედიტი).

7. სასწავლო პროცესი და კრედიტების სისტემა:

საბაკალავრო სწავლება მოიცავს 4 სასწავლო წელიწადს, რომლებიც შედგება 15-კვირიანი სემესტრისაგან. უნივერსიტეტის წესებიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის დასახურად სტუდენტს ესაჭიროება 240Kკრედიტები. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, საუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო 2/3 – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, ძირითადი სპეციალობის (Major) გარდა, ვალდებულია დაეუფლოს (Minor) სპეციალობას ფაკულტეტის საზღვრებში. თუმცა აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სპეციალობის სტუდენტებს აღარ ექნებათ უფლება აიღონ მაინორი საერთაშორისო ურთიერთობებში

240 კრედიტი, რომელიც აუცილებელია ბკალავრიატის დასასრლუებლად ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- 120 კრედიტი - ძირითად (Major) სპეციალობაზე.
- 60 კრედიტი – დამატებით (Minor) სპეციალობაზე,
- 40 კრედიტი - საფაკულტეტო კურიკულუმზე
- 20 კრედიტი - თავისუფალი კრედიტები, რომლებიც სტუდენტს შეუძლია დაფაროს ნებისმიერი კურსით უნივერსიტეტის ფარგლებში (მათ შორის, მეიჯორის საგნებით).

კრედიტების მაქსიმალური ყოველწლიური რაოდენობაა – 65 (შემოდგომის სემესტრი-30, გაზაფხულის სემესტრი-35.)

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე სალექციო კურსები, როგორც წესი, 5 ან 10 კრედიტიანია. 5 კრედიტიანი კურსი გრძელდება ერთი სასწავლო სემესტრის (15 კვირის) განმვლობაში, კვირაში ორი საუდიტორიო (ლექცია/სემინარი) საათით.

8. საერთაშორისო ურთიერთობების მეიჯორის სტუდენტებისათვის განკუთვნილი კურიკულუმი:

სტუდენტი, რომელიც აირჩევს საერთაშორისო ურთიერთობებს როგორც ძირითად სპეციალობას, ვალდებულია აიღოს 120 კრედიტი მეიჯორის საგნებში და შეასრულოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების შემდეგი მოთხოვნები: საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსების გავლა (2 საგანი, 15 კრედიტი (შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში - 5 კრედიტი + საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია - 10 კრედიტი)) + 7 სავალდებულო საგნის გავლა (40 კრედიტი, 1 საგანი არის 10 კრედიტიანი) + ხუთ-ხუთი კრედიტის დაგროვება 4 სპეციალიზებული მოდულიდან (20 კრედიტი), თითოული მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი არჩევითი კურსებიდან სტუდენტებისატვის სავალდებულოა ხუთ-ხუთი კრედიტის დაგროვება, შესაბამისად, ყოველ სპეციალიზებულ მოდულში მინიმუმ 1 კურსის გავლა. ამასთან სტუდენტებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის სპეციალიზებული კურსის გავლა 3 დონეზე (10 ქულა), მეორე უცხო ენის გავლა (20) და 5 კრედიტის დაგროვება საერთაშორისო ურთიერთობების კურიკულუმის ნებისმიერი არჩევითი საგნის საფუძველზე, ასევე საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (10).

სტუდენტებს ასევე ექნებათ საშუალება გამოიყენონ 20 თავისუფალი კრედიტი და აირჩიო მესამე დონის სხვა საგნები საერთაშორისო ურთიერთობების მეიჯორის პროგრამიდან.

ქვემოთ მოცემულია იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც წაიკითხება საერთაშორისო ურთიერთობების მეიჯორზე კურიკულუმის მიხედვით.

კურიკულუმი

საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები				
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსები / მოდულები				
კოდი	**კურსის/მოდულის სახელწოდება**	**ECTS კრედიტები**	**საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)**
1.	შესავალი სოციალურ კვლევის მეთოდებში	5	ერთი რომელიმე შესავალი კურსი 7 არჩევითი შესავალი კურსიდან: ფსიქოლოგიის შესავალი, სოციოლოგიის შესავალი, სოციალური მუშაობის შესავალი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ჟურნალისტიკის შესავალი	შემოდგომის/გაზაფხულის
2.	სტატისტიკა 1	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის
3.	ინგლისური ენა 1	5	ინგლისური ენის ცოდნა A2 დონეზე	შემოდგომის/გაზაფხულის
4.	ინგლისური ენა 2	5	ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე	შემოდგომის/გაზაფხულის
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი სასწავლო კურსები / მოდულები				
კოდი	**კურსის/მოდულის სახელწოდება**	**ECTS კრედიტები**	**საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი (შემოდგომის/გაზაფხული)**
1.	ანთროპოლოგია	5	წინაპირობები არ გააჩნია	გაზაფხულის
2.	გამოყენებითი ეკონომიკა	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის
3.	აკადემიური წერა	5	სტუდენტი უნდა ფლობდეს ქართულ ენას	შემოდგომის/გაზაფხულის
4.	ლოგიკა	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულის
5.	ფსიქოლოგიის შესავალი	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულის
6.	შესავალი სოციალური მუშაობაში	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულის
7.	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულის

8.	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
9.	ჟურნალისტიკის შესავალი	5	წინაპირობები არ გააჩნია	გაზაფხული ან შემოდგომა
10.	სოციოლოგიის შესავალი	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
კოდი	**კურსის/მოდულის სახელწოდება**	**ECTS კრედიტები**	**საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)**
1	საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
2	საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	10	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
3	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	10	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
4	საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები	5	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
5	შესავალი ეკონომიკაში	5	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
6	შესავალი ევროპათმცოდნეობაში	5	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
7	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	5	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
8	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	1.ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია; 2.საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი	შემოდგომის/გაზაფხულ ის

			ცნებები; 3.შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი ევროპათმცოდნეობაში; 5.კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	
9	საბაკალავრო სემინარი	5	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	გაზაფხულის
10.	მეორე უცხო ენა	20		შემოდგომის/გაზაფხულ ის
11.	ინგლისური ენის სპეციალური კურსი	10		შემოდგომის
სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები				
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)
1	ახალი და უახლოესი ისტორიის საფუძვლები	5	წინაპირობები არ გააჩნია	შემოდგომის/გაზაფხულ ის
2	საერთაშორისო სამართალი	5	1.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2.საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია	გაზაფხულის
3.	საერთაშორისო ურთიერთობების იდეოლოგიები	10	წინაპირობები არ გააჩნია	გაზაფხულის
	I მოდული. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია			
1	მიკროეკონომიკა	5	1.ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია; 2.საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები; 3. შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი ევროპათმცოდნეობაში; 5.კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	შემოდგომის
2	საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტეკონომია	5	იგივე	შემოდგომის
4	მაკროეკონომიკა	5	იგივე	გაზაფხულის
5	საერთაშორისო ეკონომიკა	5	იგივე	გახაფხულის

6	ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია	5	იგივე	გახაფხულის
7.	გეოეკონომიკა	5	იგივე	შემოდგომის
	II მოდული: ევროპათმცოდნეობა			
1	ევროინტეგრაციის ისტორია	5	იგივე	შემოდგომის
2	ევროკავშირის სამართალი	5	იგივე	შემოდგომის
3	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	შემოდგომის
4	ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებები	5	იგივე	გაზაფხულის
5	ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა	5	იგივე	გაზაფხულის
6	ევროპული უსაფრთხოება	5	იგივე	შემოდგომის
7.	გერმანიის საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	გაზაფხულის
	III მოდული საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოება			
1	თანამედროვე ტერორიზმი	5	იგივე	შემოდგომის
2	საერთაშორისო კონფლიქტები	5	იგივე	შემოდგომის
3	ჩრდილო–ატლანტიკური ალიანსი	5	იგივე	შემოდგომის
4	საერთაშორისო ორგანიზაციები	5	იგივე	შემოდგომის
5	საერთაშორისო უსაფრთხოება	5	იგივე	შემოდგომის
7	20-ე საუკუნის დიპლომატია	5	იგივე	გაზაფხულის
8	ენერგეტიკული უსაფრთხოება	5	იგივე	გაზაფხულის
	IV მოდული: შედარებითი პოლიტიკა და რეგიონალისტიკა			
1	პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორია	5	იგივე	შემოდგომის
2	პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტკური პრობლემები	5	იგივე	შემოდგომის/გაზაფხულ ის
4	ნაციონალიზმის თეორია და ისტორია	5	იგივე	შემოდგომის
5	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	გაზაფხულის
7	შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა	5	იგივე	გაზაფხულის
8	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	შემოდგომის
9	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	გაზაფხულის
10.	მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია	10	წინაპირობები არ გააჩნია	გაზაფხულის
11.	თურქეთის საგარეო პოლიტიკა	5	იგივე	შემოდგომის

საბაკალავრო ნაშრომი				
	საბაკალავრო ნაშრომი	საკონტაქტო / დამოუკიდებელი	საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევით	სწავლების სემესტრი/სემესტრები

		მუშაობის საათების რაოდენობა	ი)	
	საბაკალავრო ნაშრომი		სავალდებულო	

9. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

საერთაშორისო ურთიერთობების

საბაკალავრო პროგრამის რეგულაციები

2010-2011 სასწავლო წლისათვის.

რეგულაციების მიზანი:

ვინაიდან, 2008 წლიდან სექტემბრიდან ძალაში შევიდა საერთაშორისო ურთიერთობების (შემდეგში სუ) ახალი საბაკალავრო პროგრამა, აუცილებელია ახალი კურიკულუმის რეფორმის დეტალური აღწერა და ახალ პროგრამაში გარდამავალი დებულებების ჩადება, იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები და მთლიანად იქნას დაცული სტუდენტთა ინტერესები. ქვემოთ იქნება მოცემული სტუდენტების რა კატეგორისათვის როგორ იმოქმედებს გატარებული ცვლილებები მათ სასწავლო პროცესზე.

ახალი კურიკულუმის მთავარი და ამოსავალი წერტილი იქნება კურსების მკაფიო დაყოფა დონეების მიხედვით. კურსების დაყოფა მოხდება შემდეგნაირად – I დონე, II დონე და III-IV დონე. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოულ დონეზე სირთულის მიხედვით იქნება წარმოდგენილი ამ დონის შესაბამისი საგნები, რომლის გავლის უფლება ექნება სტუდენტს. ანუ, მარტივად, რომ ვთქვათ, პირველი დონის სტუდენტი ვერ აიღებს III დონის საგანს, ხოლო IV კურსის სტუდენტი ვერ ჩაიწერება II დონის საგანზე და ა.შ.

იმის გამო, რომ ახალი საბაკალავრო პროგრამა ძალაში შევიდა 2008 წლის სექტემბრიდან, იგი თანაბრად არ გავრცელდება ყველა სტუდენტზე. ქვემოთ იხილეთ, თუ სტუდენტთა რა კატეგორიაზე რა რეგულაცია ვრცელდება.

<u>**სტუდენტები, ვინც თსუ-ში ჩააბარეს 2009 წლის სექტემბერში.**</u>

II დონე. სუ-ს სპეციალობის II დონეზე სწავლას გააგრძელებენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც წინა წლის შედეგების მიხედვით მოიპოვეს ჩვენ მიმართულებაზე სწავლის უფლება. II დონეზე არის წარმოდგენილი 5 სავალდებულო საგანი: ესენია-შესავალი ეკონომიკაში, შესავალი ევროპათმცოდნეობაში, საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები, ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია და კვლევის მეთოდები სუ-ში.უკანასკნელის გარდა, ყველა დანარჩენი საგანი წარმოადგენს მოდულის გამხსნელ სასწავლო კურსს.ეს ხუთივე საგანი იკითხება ორივე სემესტრში. თითოულ სავალდებულო საგანზე დაწესებული იქნება სტუდენტების ლიმიტი(არაუმეტეს 40 ადამიანისა ჯგუფში).ყველა სტუდენტს ექნება იმისი გარანტია, რომ ამ სასწავლო წელს ჩაეწერება ხუთივე საგანში.სასურველია ამ სავალდებულო საგნების 30 კრედიტიდან სტუდენტმა თანაბრად Gგაანაწილოს თავისი სამუშაო ერთი წლის განმვლობაში და 15 კრედიტი (მაგალითად გაიაროს 3 საგანი შესავალი ეკონომიკაში, შესავალი ევროპათმცოდნეობაში და კვლევის მეთოდები სუ-ში) შეასრულოს ერთი სემესტრის განმვლობაში, ხოლო მეორე სემესტრში აიღოს საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები და ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია(10 კრედიტი) ან პორიქით.სასურველია, რომ დარჩენილი კრედიტებით სტუდენტმა II დინეზე მაქსიმალურად შეავსოს მაინორი., იმიტომ რომ

მეიჯორის ძირითადი საგნები მას ელოდება უკვე III დონეზე და სასურველია რომ ამ III დონის საგნების ასაღებად სტუდენტს ჰკონდეს დარჩენილი საკმაო რაოდენობის მეიჯორის, ასევე თავისუფალი კრედიტები. II დონეზე სტუდენტებს ასევე ემატებათ მეორე უცხო ენა.

<u>სტუდენტები, ვინც თსუ-ში ჩააბარეს 2008 წლის სექტემბერში.</u>

- თქვენ 2009 წლიდან გაქვთ შემოთავაზებული ახალი საგნები, რომლებიც აქამდე არ იყო შემოთავაზებული, თქვენ გაქვთ მეტი არჩევანი, ვიდრე აქამდე გაგაჩნდათ.
- თქვენთვის ძალაში შედის ვალდებულება გაიაროთ თითო საგანი თითოული სპეციალიზებული მოდულიდან დარჩენილი 4 სემესტრის განმვლობაში, იმისათვის რომ ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნას სუ-ს ოთხივე სუბდისციპლინაზე.
- თქვენთვის გაუქმდა მოდულის სავალდებულო საგნები.თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი საგანი ნებისმიერი მოდულიდან.
- მესამე დონის საგნებზე დაწესებულია მკაცრი რაოდენობრივი ლიმიტები(30 სტუდენტი). იმ შემთხვევაში თუ თქვენ ვერ მოხდებით ამ რაოდენობაში, გექნებათ საშუალება აირჩიოთ სხვა საგნები. რადგანაც, შემოთავაზებული საგნების რაოდენობა არის საკმაოდ ბევრი, თქვენ არ გექნებათ პრობლემა სხვა საგნებზე ჩაწერის მხრივ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მაინც გსურთ იმ საგანზე ჩაწერა, რომელზეც ვერ მოხდით ლიმიტის გამო,შეგეძლებათ აიღოთ ის მომდევნო სემესტრში, ან მომდევნო წელს.
- თქვენ ვალდებული ხართ გაიაროთ სპეციალობისათვის სავალდებულო რამდენიმე საგანი: ესენია – საერთაშორისო ურთიერთოებების თეორია, საბაკალავრო სემინარი (8 სემესტრი), მეორე უცხო ენა, სპეციალიზებული ინგლისური ენა მესამე დონეზე.
- იმ სტუდენტებს, ვისაც დარჩენილი აქვთ შესასრულებლად მაინორი საერთაშორისო ურთიერთობებში, შეეძლებათ აირჩიონ მხოლოდ მესამე დონის საგნები. ასეთი სტუდენტებისათვის სავალდებულო იქნება სუ-ს თეორიის გავლა, ხოლო დანარჩენი კრედიტების აღება უნდა მოხდეს 3 დონის არჩევითი სხვა საგნების საფუძველზე.

<u>სტუდენტები, ვინც ჩააბარეს თსუ-ში 2010 წლის სექტემბერში</u>

თქვენ ხართ მეორე ნაკადი, რომელზეც ვრცელდება ახალი კურიკულუმი მთლიანად. გვსურს, გაგაფრთხილოთ, რომ წინ გაქვთ ძალიან საინტერესო, მაგრამ ასევე დაძაბული და მძიმე 4 წელი, რომლის შედეგად თქვენ გექნებათ საშუალება ჩამოყალიბდეთ ახალგაზრდა პროფესიონალად და შემდეგ გზა გაიკვლიოთ საერთაშორისო ურთიერთობების და სოციალურ მეცნიერებების საინტერესო დისციპლინაში.

მთავარი პრინციპი, რომელიც თქვენ უნდა გაითავისოთ პირველივე წლიდან არის კონკურენცია. თქვნგან მხოლოდ 80 საუკეთესო გააგრძელებს სწავლას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე ერთი წლის შემდეგ. შესაბამისად თკვენ უნდა დაამტკიცოთ რომ სხვებზე უკეთესი ხართ. მხოლოდ ამ 80 ექნება საშუალება ისწავლოს ისეთი საგნები, როგორიცაა ევროკავშირის პოლიტიკა, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და ასე შემდეგ.

როგორ ხდება ამ 80 საუკეთესოს გადარჩევა?2010-2011 წლის განმვლობაში, სავარაუდოდ, საერთაშორისო ურთიერთობების მეიჯორზე სწავლის დაწყების მსურველი იქნება 400 სტუდენტი. ამ სტუდენტების განაწილება მოხდება თანაბრად სემესტრების მიხედვით, ანუ 200 სტუდენტი აირჩევს სუ-ს შესავალ საგნებს 2010 წლის შემოდგომის სემესტრში, დანარჩენი 200 სტუდენტი გაივლის ამ საგნებს 2010 წლის გაზაფხულის სემესტრის განმვლობაში. თითოული სემესტრის მიხედვით მოხდება 200 სტუდენტიდან 40 საუკეთესოს შერჩევა შესავალ საგნებში დაგროვილი ქულების მიხედვით(ორივე სემესტრში მოხდება ჯამში 80 სტუდენტის შერჩევა). სუ-ს სავალდებულო საგნები პირველ დონეზე იქნება <u>შესავალი სუ-ში და სუ-ს ფილოსოფია.</u>

ის სტუდენტ, რომელიც იღებს სუ-ს შესავალს, იმავე სემესტრში ავტომატურად იწერება სუ-ს ფილოსოფიაზე. შერჩევის პრინციპი შემდეგია სტუდენტმა უნდა დააგროვოს 71 ქულაზე მეტი სუ-ს შესავალში და 51 ქულაზე მეტი სუ-ს ფილოსოფიაში. იმ სტუდენტებისტვის, რომლებიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, მოხდება საშუალო არითმეტიკულის ქულის დაანგარიშება. <u>საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით მეორე დონეზე სწავლას გააგრძელებს მხოლოდ ის 80 სტუდენტი(40 სტუდენტი სემესტრში), რომელსაც ექნება ყველაზე მაღალი საშუალო არითმეტიკული ქულა რეიტინგის მიხედვით. ეს ნიშნავს რომ ,სტუდენტს შეიძლება დაგროვებული ჰკონდეს მინიმალური მოთხოვნები(71 ქულა სუ-ის შესავალში და 51 ქულა სუ-ს ფილოსოფიაში.მაგრამ ვერ გააგრძელოს სწავლა სუ-ს სპეციალობით, თუ მასზე მაღალი ქულები მოგროვებული აქვს 80 სხვა სტუდენტს (40 სემესტრში).</u>

აქვე, აღსანიშნავია რომ სავსებით შესაძლებელია სემესტრში 40-სტუდენტიანი "ვაკანსია" არ შეივსოს. მაგალითად: 71-ქულიანი მინიმალური ზღვარი სუ-ს შესავალში გადალახოს მხოლოდ 22-მა სტუდენტმა(რაც მოხდა 2008 წლის შემოდგომის სემესტრში),ასეთ შემთხვევაში შემდეგ წელს მეორე დონეზე სწავლას სუ-ის მეიჯორზე გააგრძელებს მხოლოდ ეს 22 სტუდენტი. ასევე შესაძლებელია, რომ შემოდგომის სემესტრში იყოს უფრო მაღალი გამსვლელი ქულა, ვიდრე გაზაფხულის სემესტრში, ან პირიქით. მაგალითად, შემოდგომის სემესტრში 85 ქულა, ხოლო გაზაფხულის სემესტრში – 73 ქულა.იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის ბოლოს რამოდენიმე სტუდენტი დააგროვებს ერთნაირ გამსვლელ ქულებს, მაგალითად, 39 სტუდენტს ექნებათ 72 და ზემოთ ქულა, ხოლო 10 სტუდენტს 71, ერთი ვაკანტური ადგილით შემდეგ ეტაპზე გადის 10 სტუდენტი, ანუ, 40-ის ნაცვლად, ჩვენ ვიღებთ 49 სტუდენტს შემდეგ ეტაპზე. კონკურსში მონაწილეობის უფლება სტუდენტს აქვს მხოლოდ ერთხელ.

გარდა, ზემოთ ნახსენები ბარიერისა, მეორე ბარიერი, რომელიც ასევე ძალაში რჩება სუ-ს სპეციალობაზე მეორე დონეზე სწავლის გასაგრძელებლად არის 71-ქულიანი ბარიერი ინგლისურ ენაში პირველი ოთხი სემესტრის განმვლობაში. ამის გარდა, სტუდენტს ყველა საგანში უნდა ჰქონდეს აღებული კრედიტი.

<u>ყველა აბიტურიენტის საყურადღებოდ</u> :

<u>დეტალური ინფორმაციისთვის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით მიმართეთ</u>

<u>საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ტუტორებს 2011 წლის 1 სექტემბრიდან.!!!</u>